საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბელოთი

ბელოთი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტში, (შიდა ქართლის რეგიონი), გუდისის ქედის სამხრ. განშტოებაზე, მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ბ., ალბირი, აწრისხევი, ბისოითა, გოზო, ელტურა, ზემო ზონკარი, ინაური, ლაცაური, მაძიგათა, ქვემო ზონკარი, ქნოღო, შამბიეთი, შულაური, ხადურიანთკარი, ხოშური), ზ. დ. 1160 მ, გორიდან 47 კმ.

ბ. ისტ. მაღრან-დვალეთის გზაზე მდებარეობდა. იყო ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი რეზიდენცია. ქსნის საერისთავოს გაუქმების (1777) შემდეგ იულონ ბატონიშვილის სამფლობელო გახდა. 1865 სოფელი მოიცავდა ახლანდ. ბ-ს, ხოშურს და საცხენეთს; ცხოვრობდა 63 კომლი. ბ-ში შემონახულია გვიანდ. შუა საუკ. თავდაცვითი ნაგებობის კომპლექსი. მასში მოქცეულია ყორექვითა და შირიმით ნაგები მაცხოვრის ერთნავიანი ეკლესია, რ-იც ზოგიერთი ნიშნით X ს. ეკლესიებს წააგავს. ციხე აქ XVII ს-ში აუშენებიათ (შემორჩენილია ერთი, გეგმით ხუთწახნაგა კოშკი), XVIII ს-ში კი ააგეს დიდი ციხესიმაგრე, რ-საც გალავნის კუთხეებში სამი მრგვალი კოშკი აქვს დატანებული და ეკლესიაც მაშინ მოექცა მის ფარგლებში. შემორჩენილია სამხრ. კედელთან მიშენებული სასახლის ნანგრევები. უფრო მოგვიანებით აღმ. მხრიდან დაემატა ზღუდე და ორსართულიანი საცხოვრ. ნაგებობა. ბ-ის ციხესიმაგრე XVIII ს. საქართვ. მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. XIX ს. დასაწყისში აქ საარტ. დანადგარებიც ყოფილა გამართული.

ბ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; М е п и с а ш в и л и Р., Ц и н ц а д з е В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии–Шида-Картли, Тб., 1975.

ჯ. გვასალია

პ. ზაქარაია